ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 151

პარასკევი, 13 ივლისი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 151

პარასკევი, 13 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მოსწავლეების მიღება უმცროს განყოფილებაში** და მოსამზადებელ კლასის ახლად გახსნილ **საშუალო განყოფილებაში** დანიშნულია ამა 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოსათვის. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლამდე **უეგზამენოდ**; საშუალოში—8-დგან 10 წლამდე **ეგზამენით.**

თხოვნები მიიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით დილის 11-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე სასწავლებლის შენობაში. თხოვნას უნდა ახლდეს: ნამდვილი დაბადების მოწმობა, მოწმობა წოდებისა და ყვავილის აცრისა და აგრეთვე პირი ამ მოწმობებისა. თხოვნები, რომლებსაც უამ-მოწმობებოთ წარმოადგენენ, არ მიიღება. (6—6.—4)

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საჩლვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

ასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ტელეფონი № 174.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—63)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ზაქარია აბელის ძის ანდრონიკაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ათას ორმოცდა ხუთის (1045) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უპირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადს ანდრონიკაშვილს, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—6.—3)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ნიკოლოზ ვასილის ძის ბებურო-ვაჩნაძის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ორას სამოცდა ხუთი (265) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უპირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავად ბებურო-ვაჩნაძისა ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

გ. ი. გველესიანი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაშვეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არღანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. შიშინაშვ—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატილოვი—თვალის 10—11 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

ვ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედოევიჩი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კოლოანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (6.)

ტფილისი, 13 ივლისი.

„ივერიის“ დღევანდელი წერილი: „ასე რად შეითვისა ქართლელმა გლეხმა ფარაჯა?!“ ვ. გიუნაშვილისა უთუოდ ბევრის ყურადღებას მიიზიდავს და მცირეოდნად მაინც არის დააფიქრებს, თუ ფარაჯამ ასეთი ჯადოქარი ძალა მართლა საიდგან მოიპოვა, ხოლო ზოგმა შეიძლება სიცილითაც არ იკმაროს. მაგრამ შესცდებიან...

როგორც თვითონ წერილის ავტორიცა ჰხსნის, თავი და თავი მიზეზი ფარაჯის ასე შეთვისებისა ანუ გამოქართულებისა, ჯერ არის ის, რომ იგი მეტად იაფია და, მაშასადამე, თვითოეულის ღარიბისათვის ხელსაყრელი და შედარებით ადვილად შესაძენი, ხოლო მეორე და არა-ნაკლებ საპატიო მიზეზი ისაა, რომ მისს ყოველ-დღიურს მუშაობას, ბარათ თუ მთაში, იგი მეტად შეეფერება და დღეს მას ბაზარში მაგიერობას სხვა ვერა გაუწევდა-რა.

ფარაჯა ამ რიგად ჩვენის გლეხისათვის გაჭირვების მაშველთავთებელი ყოფილა და მეორეც, მაჩვენებელი იმისი, თუ ჩვენს გლეხს გაჭირვებაში ყოველ-დღიურ საჭიროებისათვის საგანთა შერჩევა რამდენად შეუძლიან. ე. ი. მოკლედ რომ ვსთქვათ, ფარაჯა ჩვენის გლეხის შეძლებისა და წაბაძვის ნიჭის ბარომეტრია.

და აი, ჩვენც ამის შესახებ გვსურს ორიოდე სიტყვა მკითხველს გავუზიაროთ.

ფარაჯა ჩვენმა გლეხმა, მართალია, სხვისგან ისესხა და შეითვისა, მაგრამ ისეთს დროს, როდესაც მთელი ჩვენი ცხოვრება ძირითადად შეიცვალა, საფუძველი პოლიტიკურის თვით-არსებობისა და აქედგან ნივთიერ ძალთა შეირყა. თუ უწინ ნახევარს დროს გლეხი ბრძოლის ველზედ ატარებდა და მუდამ ცხენს აჯდა, მაშასადამე, სულ სხვა, შესაფერს ტანისამოსს ითხოვდა მისგან ცხოვრება, ახლა იგი მიწას ჩაუდგა და მხოლოდ-ღა მიწათ-მოქმედებასა და შინა-მეურნეობას მიჰყო ხელი. ჩერქეზული და ქართული ძველი ჩაცმულობა, რომელიც საომარსა და სადღესასწაულო დროს უფრო შეეფერება, ვიდრე მუშაობასა, ახლა მხოლოდ შეძლებულთა და კეთილშობილთა საკუთრებათ-ღა გახდა. შეუძლებელმა მიწის მუშა გლეხმა-კი შეინარჩუნა მხოლოდ ის, რაც მას ტანს დაუფარავდა და ასე თუ ისე მუშაობაში არ დაუშლიდა: ახალუხი და ჩოხა, რომელიც ბოლოს დროს სრულიად დამოკლდა და გაუბრალოვდა (აქედგან ქართლელი გლეხის ჩოხა ჩერქეზულის სასაცილო წანაბაძს წარმოადგენს და ის-კი აღარავინ იცის, რომ იგი მხოლოდ გაჭირვების საშველავთოა და განგებ ასე შეცვლილი!). მაგრამ შეუძლებელთა უმეტესობამ რუსთა ფარაჯა მალე ორივეს ამჯობინა, რადგანაც შინ თუ გარეთ ტანს უახალუხოთაც კარგად უფარავდა და მეორეც, სიცივეს ჩოხაზედ მეტად იჭერდა. ფასი-კი მისი (ნახმარისა 1 მან. 50 კაპ. და ახლისა ორიდგან სამი მანეთი) ჩოხისაზედ ბევრად ნაკლებია. ამ რიგად გაჭირვებისა მიხედვით (ზოგმა-კი მეტის გამოსადეგრობისა და სიიაფის გულისათვის) გლეხმა ჩოხა-ახალუხი-ნაბადი უარ-ჰყო და მის მაგიერად სულ უბრალო და იაფს ფარაჯაში გამოეხვია, რომელიც მას სიცივისაგანაც იფარავს და წვიმისაგანაც.

მართალია, ასეთი შეთვისება ფარაჯისა მხოლოდ გაჭირვების ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მეორე მხრივ უტყუარი დამამტკიცებელია იმისი, რომ ჩვენს გლეხს საჭიროებისა მიხედვით საგანთა შერჩევა და წაბაძვა-შეთვისება შესძლებია, და იქამდის ღრმად, რომ საუკუნოებით შეჩვეულს-შეთვისებულსაც-კი ადვილათ თურმე უარ-ჰყოფს, თუ ჰნახავს, რომ გარემოება უთუოდ ამას მოითხოვს, მეტი ღონე არა აქვს. ფარაჯა ამას ნათლად ამტკიცებს, თუმცა წერილის ავტორისა არ იყოს, „მტრისგან თუ მოკეთისაგან ბევრი დაცინვა აუტანია“.

მაგრამ მიბრძანეთ ერთი, ჩვენმა ტეტია გლეხმა რომ ერთს მშვენიერს დღეს ჩექმები და შუბა ჩაიცვას, ან მამა-პაპეულ 8—9 ულლიან გუთნისა ნაცვლად მამულში ახალის სისტემის ადვილათ სამუშაებელი

ცუთანი შეტანით და ჰუჰყიან-ტურტლიან საცვლებისა მაგივრად კვირა-უქმე დღით გახამებული პერანგი ჩაიცვას, როგორ გგონიათ, განა ესე-კი არ გამოიწვევს უვიცსა და უგუნურს ხალხში დაცინვას? მაგრამ საქმე ამაში როდია.

როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, მარტო ფარაჯაც საკმაოდ ამტკიცებს, რომ ჩვენს გლეხს, საჭიროებისა მიხედვით, ადვილათ შეუძლიან ძველი და გამოუსადეგარი უარჰყოს და ახალი და სხვისი შეითვისოს, თუ-კი ეს ახალი დღევანდელ მისს ცხოვრებას შესწყობია, შეეფერება და მეტი ხსნა არა აქვს.

ჩვენ აქ ფარაჯას მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებისა შესავსებადა ვხედავთ გლეხის მიერ შეთვისებულსა და, მაშასადამე, შეიძლება უნებურ წაბაძვის მაგალითად გამოვიყენოთ, მაგრამ ჩვენის დღევანდელ ლაპარაკის საგანი ეს უკვე შეთვისებული უნებურობა როდია, არა.

ჩვენის გლეხის მეურნეობასა და ოჯახობაში ბევრი რამ არის დღეს ისეთი, რაიცა დაუყოვნებლივ სხვით შეცვლასა და შეთვისებასა საჭიროებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ძლიერ მძიმედა და ნელ-ნელა ხდება; ჩვენს გლეხსა და შესათვისებელს შორის თითქმის მთელი უფსკრულია. ავიღოთ, მაგალითად, განკარგებულ, ახალის სისტემის სამიწათ-მოქმედო და სამეურნეო იარაღების შემოღება, საცხოვრებელ ბინების ჰიგიენურად მოწყობა და ჩაცმა-დახურვის გაუმჯობესება, ან ახალის კულტურის მცენარეულობათა ჩვენს შორის გავრცელება, რომელიც ჰავისა და მდებარეობის მიხედვით სულ ადვილი იქმნებოდა, მაგრამ დღეს ასეთს მისწრაფებას თითქმის ვერსადა ვხედავთ, თუნდაც საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენება და მევენახეობა-მეღვინეობისა და მებოსტნეობის უკეთესად დაყენება და სხ. მრავალნი, რომელთა აქ ჩამოთვლაც შეუძლებელია და რომელნიც უტყუარად ერის სიმდიდრესა ჰქმნიან; ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი შინა ხელოსნობა და შინა მრეწველობა რა რიგად არიან ჩამორჩენილნი. რა არის ყველა ამისი მიზეზი და რამ შეუშალა ჩვენს გლეხს ხელი, რომ ყოველივე ეს დროზედ შეეგნო და შეეთვისებინა, საჭიროებისა მიხედვით ძველი ახალზედ შეეცვალა და ახალს ცხოვრებაში ფეხი შეედგა; აი, რა არის დღეს საკითხი და რას უნდა ჰქონდეს ჩვენი უმთავრესი ყურადღება მიქცეული. რითი აიხსნება, მაგალითად, რომ ჩვენს გლეხებს შორის მოსახლე ნემცები, ან მეზობელი თათრები და სომხები ახალის სისტემის სამეურნეო, სამიწათ მოქმედო იარაღებს ამუშავებენ მინდორში და ჩვენ-კი ეს ვერ მოგვიხერხებია და იმას ვამიზეზებთ მუდამ, რომ მათი ხმარება სახიფათოა, წახდება, ადგილობრივ შეკეთება შეუძლებელია და სხ. რითი აიხსნება ის, რომ ჩვენი გლეხი დღემდის დამიწიდგან მაღლა ვერ ამოსულა და ცხოვრებისათვის უსაჭიროესი სამეურნეო ცოდნა ვერ შეუძენია?..

ყველა ამისი გარკვევა და დანახვა თვითონ დღევანდელ ცხოვრების გარკვევასა და დანახვას უდრის და ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა მაგალითითა, ცხოვრებითა, თუ ცდით ხალხს სწორე გზა გავუკვლიოთ, ახალს უკეთესს ცხოვრებას შევაჩვიოთ და განუვითაროთ ის ძვირფასი ნიჭი, რომელსაც ცხოვრებაში ადვილათ შეწყობილობა (легкоприспособляемость) და შეთვისება ჰქვიან და ურომლისოთაც დღევანდელ პირობებში ერი ფეხს წინ ვერ წასდგამს. თორემ ზოგიერთებისავით თუ მხოლოდ განყენებულად სოციალურს თეორიების კვლევა-ძიებაში გავატარებთ დროს (უფრო-კი სალაზღანდაროთ, რადგანაც ნამდვილი მომზადება ამისათვის არც ერთს მათგანს არა აქვს!), ან ჩვენს ერსა და უცხოელთა შორის ჩინურს კედლებს ავმართავთ, ჩვენს მტერს, რომ მაშინ შორს ვერ წავალთ და მტერსაც თუ შინაურსაც ყველას დიდს მიზეზს მივცემთ დაცინვა-დაბრიყვებისას. მაშასადამე, ყველაფერში ისევ საქმითა და მაგალითით უნდა ვმოქმედებდეთ და არა მხოლოდ ცარიელი სიტყვებით, თუ არა გვსურს შემდეგში ახლა სხვა საგნების შესახებ ვიკითხოთ ასე განცვიფრებულმა: რად შეითვისა ქართველმა გლეხმა, მაგალითად, ესა და ეს და არა ის, რაც ახლა უმჯობესათა და უკეთესად არის ცნობილი?..

ინ-ანი.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა ახალციხის ხაზინის ბუჰგალტრის თანაშემწეს ღვთისავრიშვილს.

ახალი ამბავი

⁂ მომავალ შემოდგომაზედ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი კავკასიის სამკურნალო წყლებზედ აპირებს ჩამოსვლას.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ვაჟთა გიმნაზიებში მოსპობილ იქმნა ლათინურის ენის სწავლება I და II კლასებში, ხოლო ბერძნულისა III და IV კლასებში, და მათ ნაცვლად გაძლიერებულ იქმნა გეოგრაფიისა და რუსულის ენის სწავლება. I კლასიდგან შემოღებულ იქმნა ისტორია, ერთი ახალი ენა და შეძლების დაგვარად ბუნებისმეტყველება. ამ ჟამად სამოსწავლო ოლქის მზრუნველებმა დაავალეს საშუალო სასწავლებელთა უფროსებს, შემოიღონ მომავალ სამოსწავლო წლიდგან ზემოხსენებული წეს-რიგი სწავლებისა, წარადგინონ ცნობები, შეიძლება თუ არა ახალის წეს-რიგის მიხედვით გამოწვეული ხარჯი 1901—1902 წ. გასტუმრებულ იქმნას სასწავლებლის სპეციალურ თანხიდგან (მოსწავლეთა შემოტანილი ფული) და თუ ეს შეუძლებელია, შეადგინონ ახალი ხარჯთ-აღრიცხვა. ამას გარდა სასწავლებელთა დირექტორნი ვალდებულნი არიან აცნობონ, რომელი მასწავლებელი ძველის ენებისა შეიძლება სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნას, ან იქმნება შესაძლოა ამ მასწავლებლების დატოვება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საგნების სწავლებას იკისრებენ.

⁂ კანონის ძალით ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონები ვალდებულნი არიან ფაბრიკა-ქარხნებში საქმე ისე მოაწყონ, რომ მკურნალის რჩევა-დარიგებით მათს მუშებს უფასოთ შეეძლოთ სარგებლობა. სამკურნალო დეპარტამენტი ახლა უკვე შესდგომია შეიმუშაოს წესი, რომლის ძალითაც მეფაბრიკეებს დაევალებათ, რომ მათ თავიანთის ხარჯით იყოლიონ მკურნალები, რომელთაც დანიშნულს ვადაზედ უნდა გაშინჯონ ხოლმე მუშები და დახმარება აღმოუჩინონ. იმ ქარხნებ-ფაბრიკებში, სადაც ქალები მუშაობენ, მეფაბრიკეთ სპეციალისტი მკურნალები ეყოლებათ, რომელთაც ქალების ავადმყოფობის წამლობა ეცოდინებათ.

⁂ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ტფილისის პოლიცმეისტერი და ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი მომავალ კვირას ქალაქის ყველა ქარხნებსა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს დაათვალიერებენ.

⁂ სათანადო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს სომხეთა საქველ-მოქმედო საზოგადოებათა წესდებების გადათვალიერების შესახებ.

⁂ დღეს, 13 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის პირველი განყოფილება განიხილავს საქმეს ივანე სირაძისას, რომელსაც ჰბრალდება, ვითომ მას ნატარიუსთან ყალბი ვექსილების ქაღალდი შეუდგენია, გორის მოქალაქის ფარსადან ხუდადოვის სახელი დაურქმევია და სომხეთა საქველ-მოქმედო საზოგადოებიდგან 3000 მ. გამოუტანია. ეს ფულები ფარსადან ხუდადოვისათვის უანდერძებია ძმას. ამავე დღეს ოლქის სასამართლო განიხილავს საქმეს ყარამან ორჯონიკიძისას, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

⁂ კვირას, 22 ივლისს, ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება მოხდება, რომელზედაც შემდეგი საქმეები უნდა განიხილონ: ამხანაგობის გამგეობის ნახევარის წლის მოქმედების ანგარიში; მოხსენება გამგეობისა კრედიტის მოპოვების შესახებ; მოხსენება გამგეობის ორის წევრის მოქმედების შესახებ და სხვანი. კრება დილის 11 საათზედ არის დანიშნული.

⁂ სახალხო სახლის ამშენებელს კომიტეტს მოუწონებია პროექტი ბ-ნ შამკევიჩისა. შამკევიჩს მიენდო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაც.

⁂ ტფილისში არსდება საზოგადოება, რომელმაც საეკლესიო ნივთებით უნდა ივაჭროს. ძირითად თანხად საზოგადოებას 25,000 მანეთი ექმნება 250 პაიდ გაყოფილი.

⁂ 11 ივლისს ბალაჯარის სადგურში კავკასიის რკინის გზის მოგზაურთა მატარებელი № 9 დასჯახებია საქონლის მატარებელს, 4 საქონლისა და ერთი სამგზავრო ვაგონი დამტვრა, 7 კაცი მსუბუქად დაშავებულა.

⁂ ამ დღეებში განსაკუთრებულ კომისიას დაუთვალიერებია ტფილისის საგუბერნიო საპატიმროს მახლობლად მდებარე წყაროები, სადგანაც უნდა წყალი გაიყვანონ საპატიმროსათვის. კომისიას მოუხერხებლად უცვნია ამ წყაროებიდგან გაყვანა წყლისა და დაუდგენია მტკვრიდგან გაიყვანოს საჭირო წყალი საგუბერნიო საპატიმროსათვის, ხოლო სასმელი წყალი ქალაქის წყლის მილიდგან გაიყვანოს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის განკარგულებით, პოლიციელებს 500 ოქმი შეუდგენიათ იმ სახლის პატრონების წინააღმდეგ, რომელთაც თავიანთ სახლების წინ ქვა არა აქვთ დაგებული, შევიწროებულია ქუჩები შენობებითა და კიბეებით, სახლების სახურავებზედ არა აქვთ გაკეთებული საწვიმარი მილები და სხვ.

⁂ 10 ივლისს ბაქოს სადგურში „მანევრის“ დროს მატარებელმა გაჭყლიტა ერთი მუშა სპარსეთის ქვეშევრდომი მახმედ ალი-ოღლი.

⁂ 11 ივლისს ალ-ბულახის სადგურში მატარებლის № 187-ის ორთქლ-მავალი და 8 ვაგონი ლიანდაგს გადასცდა, ერთი ვაგონი დაიმტვრა, 7 ვაგონი ძალიან დაშავდა, კაცი არავინ დაშავებულა.

⁂ როგორც გვატყობინებენ, 12 ივლისს ტფილისსა და ნავთლუღს შუა მიმავალ მატარებელში ახტომის დროს გადმოვარდა ქ. ტფილისის მცხოვრები არსენ ხულთაძე (30 წლისა), რომელსაც ვაგონის თვლებმა მარცხენა ფეხი მოსტეხეს. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ ტფილისში არსებობს პირუტყვთა მფარველი საზოგადოება, რომელიც პოლიციელთა წყალობით რიგიანად ასრულებს თავისს საქმეს: არავის ნებას არ აძლევს პირუტყვსა სცემოს, აგრე იფარავენ პირუტყვებს; მაგრამ ადამიანს-კი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. გუშინ 12 საათზედ ალექსანდრეს ბაღში სამეურნეო-საზოგადოების შენობის გვერდზე ერთმა პოლიციელმა წააქცია ერთი ქართველი ბიჭი, ზედ შესდგა და უწყალოდ დაუწყო ცემა. არ ვიცით, ბიჭმა რა დააშავა, ეს კია, რომ არც მთვრალი იყო და არც წინააღმდეგობას უწევდა ვისმეს.

⁂ პოლიციის მე-4 ნაწილში, 9 ივლისს, საღამოზედ, ამაღლების ქუჩაზედ დედას და შვილს დავით და მარიამ ბეგიევებს თავს დასცემია გიორგი კუხიევი ამოღებულის დანით და დავითს თურმე მოკვლას უპირებდა; მაგრამ იქვე მდგომნი მიეშველნენ თურმე და კუხიევს განზრახვა ვერ შეუსრულებია. საქმე ტფილისის მეორე განყოფილების გამომძიებელს გარდაეცა.

⁂ 9 ივლისს, პოლიციის მე-3 ნაწილში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, სამსონ გოგოშიძეს ეტლი უცაბედად დაეტაკა გამვლელს ტფილისის მოქალაქეს ხერატურ ნერსესოვს, რომელიც ეტლმა ქვეშ მოიტანა და დააშავა. დაშავებული ტფილისის მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად. გოგოშიძე გაუფრთხილებლობისათვის პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

⁂ 9 ივლისს, პოლიციის მე-10 ნაწილში, როჟდესტვენსკის სახლში, თავისს ბინაზედ, მკვდარი უნახავთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველოს მოსამსახურე ფრანც ვიკენტის ძე კრასსუსკი. ტანზედ ჭრილობა ეტყობოდა რევოლვერის ტყვიისაგან. მიზეზი სიკვდილისა, როგორც უბის წიგნიდგან აღმოჩენილა თურმე, უიმედო სიყვარული ყოფილა.

კავკასიის მომავალი გამოფენა.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მომავალ გამოფენის გამგე კომიტეტმა ბ-ნთ კარგარეთელსა და კავსაძეს მიანდო ხოროს შედგენა და ამ გამოფენაზედ ქართულ საერო სიმღერების შესრულება. როგორც შევიტყეთ, ბ-ნთ კარგარეთელსა და კავსაძეს განუზრახავთ ეს საქმე გამოფენაზედ სამაგალითოდ მოაწყონ. ხორო უკვე შეუდგენიათ და რეპეტიციებსაც გულ-მოდგინედ შესდგომიან. ხორო ორმოცის კაცისაგან შესდგება. პროგრამაც ვრცელია; ორმოცდა ათ სხვა-და-სხვა სიმღერას შეიცავს: ქართლურს, კახურს, იმერულს, გურულს, რაჭულს, სვანურს, ოსურს, ხევსურულს, ფშაურს. ყველანაირ სიმღერას შეხვდებით ამ პროგრამაში: არის სუფრული სიმღერები, სამგზავრო, სამუშაო, საცეკვაო და სხვა.

კავკასიის მომავალ გამოფენის გამგე კომიტეტს დაუწესებია გამოფენაში შესასვლელი ფასი: პირველ სამის დღის განმავლობაში და ხუთშაბათობით 50 კაპ., კვირაობით 20 კაპ., ხოლო დანარჩენს დღეებში—30 კაპ.

—

მომავალ გამოფენაზედ მონაწილეობას მიიღებენ კიდევ: გროზნის ნავთის ქარხანა, კავკავის რკინის გზა და მისი ლაბორატორია.

—

კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტს ტფილისის უსახელო საზოგადოებისაგან კიდევ მოუვიდა 700 მანეთი საიუბილეო გამოფენისათვის. წინად გამოგზავნილ 300 მანეთთან ერთად შესდგა 1000 მანეთი.

—

კავკასიის სამეურნეო საიუბილეო გამოფენის გამგე კომიტეტს ჯერ კიდევ ურიცხვი თხოვნა და განცხადება მოსდის კავკასიის ყველა კუთხიდგან და რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებიდგანაც გამოფენაში მონაწილეობის მიღების მსურველთაგან.

—

ბაქოს გუბერნატორს გუბერნიის დაბა-ქალაქებში მიწერილობა გაუგზავნია იმის შესახებ, რომ კავკასიის საიუბილეო სამეურნეო გამოფენაში ყველამ მონაწილეობა მიიღოს, ვისაც შეუძლიან.

—

რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ აცნობა გამოფენის გამგე კომიტეტს, რომ იგი ფრინველთა კოლექციას გამოგზავნის გამოფენისათვის.

—

ახალქალაქის საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის გამგეობა გამოგზავნის გამოფენისათვის ქალებისაგან მოქარგულ ბალიშებს.

—

გუშინ, 12 ივლისს, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარმა უკვე მიიღო ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან საბჭოს მიერ გამოფენის შემწეობათ გადადებული 10,000 მანეთი.

—

გამოფენაში ექსპონატებით მონაწილეობის მიღების მსურველთაგან კავკასიის გამოფენის გამგე-კომიტეტს შემდეგი განცხადებები მოუვიდა: ახალციხის საქალაქო სასწავლებლისაგან; ალექსანდრე ნიკოლ. ჩუბინიძისაგან; ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებლის ნიკოლოოზ ჯომარჯიძისაგან, ქუთაისის ქალაქის ბეთალის ლანგისაგან და სხვ.

—

ბაქოს გუბერნიაში კავკასიის გამოფენის სატყეო განყოფილებისათვის სხვა-და-სხვა ექსპონატების შეკრება ბაქოს გუბერნატორისაგან აგრონომს პენკოვს დაევალა.

ასე რად შეითვისა ქართველმა გლეხმა ფარაჯა?!

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართველი გლეხი ფარაჯის ტარებას მიეჩვია. მას აქეთ მტრისაგან თუ მოყვრისაგან ბევრი დაცინვა აუტანია როგორც სიტყვიერად, ისე ბეჭდვით, მაგრამ ამ დაცინვას მის ყურამდე არასოდეს არ მიუღწევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი ერთხმად უკიჟინებენ, ვითომ იგი იმდენად შეუგნებელი და გონება-ჩლუნგი იყვეს, რომ ფარაჯა მამა-პაპეულსა და დღევანდელს გამჯობესებულს ტანთსაცმელს ერჩივნოს, ვითომც მას ფარაჯა სულით და გულით უყვარდეს და, როგორც ამ ბოლოს დროს ერთმა სთქვა—„პარიჟის უკანასკნელ მოდათ“ მიაჩნდეს. არა, ბატონებო, ეს ასრე არ არის! ვისაც ქართლელ გლეხის გარემოებაში ჩაუხდენია და ცოტად თუ ბევრად მისი ჭირ-ვარამი შეუგნია, ის, უეჭველია, სულ წინააღმდეგს შეჰნიშნავდა. შეჰნიშნავდა, რომ ჩვენს გლეხს უყვარს-კი არა, სძულს კიდევაც ფარაჯა, ვინაიდგან კარგად იცის, რომ იგი სხვის გამონაცვალი და სხვის ნაპარტალია, რაიცა მის თავმოყვარეობასა ჰბლალავს; შეჰნიშნავდა, რომ ფარაჯით სიარული ძლიერ ეჩოთირება და როდესაც იგი ან დღეობაშია წასასვლელი, ან სადმე სასტუმროდ, თუ ფარაჯის მეტი სხვა ტანთსაცმელი არა აქვს, ჰრცხვენიან და ფარაჯით ვერ მიდის... მაშ რაღა მიზეზია, რომ დანარჩენს დროს იგი ფარაჯას არ იშორებს?

ჩემის აზრით, პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისა ქონებრივად გალატაკებაა. ქართლელ გლეხთა უმეტესი ნაწილი შიშველ-ტიტველია, თუმცა სიმართლე მოითხოვს ვსთქვა, რომ ცოტა დაუდევრობის ბრალიც არის ესა. და აი, ამ სიტიტვლის დამფარავ უებარ წამლათ გლეხს იაფი ფარაჯა გაუჩნდა. ბევრია ისეთი გლეხი, რომელიც მხოლოდ ერთს ფარაჯაშია გახვეული და შიგნით-კი იქნება საცვლებიც არ აცვია. მეორე მიზეზი ის არის, რომ ფარაჯა მისთვის მრავალ გვარად არის გამოსადეგი. წავიდა გლეხი, მაგალითად, ღამის ხარში და აქ ფარაჯაა მისი საბანიც, ლეიბიც, ტანთსაცმელიცა და სხ. მართალია, ამ შემთხვევაში მას მამა-პაპეული ნაბადიც ამ გვარსავე სამსახურს გაუწევდა, მაგრამ იგი უპირატესობას მაინც ფარაჯას უთმობს, რადგანაც ფარაჯა შედარებით ბევრად იაფია, უფრო გამძლე, სიტიტვლეს უკეთა ჰფარავს და მუშაობის დროსაც ყოველ მხრივ გამოსადეგია.

ამ რიგად, თუ წინდელი ქართველი იძახდა: „მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისაო“, აწინდელს თამამად შეუძლიან სთქვას: „მე ვარ და ჩემი ფარაჯა გამთენებელი ღამისაო“. რაც გინდათ სთქვით, ბატონებო, მაგრამ ფარაჯა-კი სწორედ ზედ-გამოჭრილია ისე დაბეჩავებულის, ისე გალატაკებულის ადამიანისთვის, როგორიც ჩვენი გლეხია.

ფარაჯა სიტიტვლეს უფარავს და ამ რიგად სირცხვილისაგან იხსნის, დღისით თუ ღამე ფარაჯა სიცივისა და წვიმისაგან იფარავს და შინა თუ გარეთ ფარაჯაა მისი ერთად ერთი ერთგული მეგობარი და ამიტომაც ძვირფას მეგობარივით მუდამ თან ახლავს, თუმცა არც ისრე ძლიერ უყვარს, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ, ვინაიდგან კარგად იცის, რომ იგი სხვის ნაპარტალია.

ვანო გიუნაშვილი

ცხოვრების გამოძახილი

I

როგორ ვეწევით მწერლობას.

მწერლობა დიდი ძალაა, თუ მისი წარმომადგენელი ერის ნამდვილი მოძღვარია, მის განვლილ და აწმყო ცხოვრებასთან სულიერად დაკავშირებული, მოკლედ რომ ვსთქვათ, მისი ნამდვილი შვილია. ერი და მისი მწერალი მხოლოდ მაშინ იცნობენ ერთმანერთის გულს, მხოლოდ მაშინ ალორძინდება მათ შორის საერთო მოქმედება. თორემ ზერელე მწერლობა, ერის თავ-გადასავლის უმეცარი, ხოლო აწმყო ცხოვრების ალღო აუღებელი და მწერლისაგან მარტოოდენ თავის გამოსაჩენად გამოხახხარებული, ერთი მეცა ვსთქვათ, საქმეს წინ ვერ წასწევს და მას უკან დაწევას-კი ხელს შეუწყობს, თუმცა შეიძლება თვითონ მწერალმა ვერც-კი იგრძნოს.

ქართულის სწავლის მიღების სურვილი დიდიც რომ გვქონდეს, ვერას გავხდებით და თუ აწინდელ სკოლაში ქართული წერა-კითხვა მაინც ვისწავლეთ, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნება, თორემ ზოგჯერ ხომ სრულიად ქართულის უცოდინარი ვრჩებით. ის თაობა, რომელსაც ეცხო ძველის ქართულის განათლების ნიშან-წყალი, დიდი ხანია გადავიდა და თუ ლიხთ იქით კიდე შეგვრჩენია ქართული ენა, ლიხთ აქეთ მაგიერ ორი თაობაც-კი გამოვზარდეთ მოწინავე წოდებისა ისეთი, რომ დედა-ენა არ სმენია და ზოგიერთს მათგანს ეხლა ქართველობას ბოლო-დამახინჯებული გვარი თუ უთხრობს, თორემ სხვა აღარაფერი. ამიტომ საკვირველია სწორედ, თუ აწინდელის სწავლა-განათლების პირობაზე კიდევ გვიტაცებს სამშობლო ქვეყნისა და მწერლობის სამსახური. მაგრამ ჩვენი ისტორია და ლიტერატურა ისევე გვეუცხოვება ჩვენ, უკეთესია ვსთქვათ, ისევე არა არს ჩვენთვის, როგორც უბირი ქვეყნის შვილისათვის, რომელმაც განათლების შემდეგ თუ ზეგარდამო მადლით თავისი ქვეყნის სამსახურის საჭიროება იგრძნო, ყველაფერი ახლად უნდა შეჰქმნას: კიდეც ჰსთესოს და კიდეც მოიმკოს, რადგანაც მამა-პაპათაგან სამარი იარაღის მეტი სხვა არავითარი სამკვიდრებელი არ დარჩენია, მათი გონებრივის ცხოვრების მომასწავებელი. თუმცა ასეა, მაგრამ ჩვენ თავი მაინც მოგვაქვს, თითქოს ქართული სწავლა მიგვიღოს და უდგთოდ ნაჭირვების ენით, რომლითაც მარტოოდენ მსმენელთა ყურნი დაგვალდებიან, გვქადაგებთ სულ ახალ-ახალ სამეცნიერო თეორიებს, თითქოს მეტი არაფერი გვაკლდეს. ენაზე ხომ მუდამ ჟამ გვაკერია და კალმის წვერზედაც გვიკიდია საბრალო ევოლიუცია, თუმცა ხტომა, ვითა ქურციკმა, ჩვენც კარგად ვიცით. გუშინ რაც დაიწერა, ან დღეს რაც იწერება, თან-დათანობას ვითომ იქ ვეძებთ და იმასაც უფრო სხვისის თვალით. ხოლო რაც გუშინდელი და დღევანდელი არ არის, ე. ი. [illegible] რუსების ჩვენში შემოსვლამდე და რაც ჩვენ წინაპართა გონების მონაღვაწევია, მას არ ვკითხულობთ, რადგანაც სამშობლო ქვეყნის ცოდნის სიყვარული საკმაოდ არ შეგვწევს; და თუ მოვისურვილეთ როგორმე, ისიც უნაყოფოდ ჩავკვდილის, რადგანაც ძველის მწერლობის გემო ჯერ არა გვაქვს გაღებული. ჩვენი ასეთი ყოფა უნდა ვიფიქროთ, გასტანს მანამდე, ვიდრე არ დავგმობთ იმ აზრს, ვითომც ახალი ქართული და ძველი ქართული მწერლობა ერთმანერთში ისე იყოს, როგორც ახალი რუსული და ძველი სლავურ-რუსული მწერლობა, რომლის შესწავლა რუსის ახალგაზდობისათვის პრაქტიკულად აღარ არის საჭირო, როგორც უცხოსა და გაუგებარის ენით დაწერილისა. ქართულად მწერლობის სიმართლეს რუსის სკოლის გათავების ქაღალდით ვაფასებთ, ქართულის წიგნის უცოდინარობას [illegible] არ ვიგდებთ და თითქოს უბირ ქვეყანაში ვიყვნეთ, ისე ვმწერლობთ: ვითარ ძალგვიძს და ვითარ უწყით. მწერლის თავმოყვარეობის უქონელთ სათაკილოდ და ღირსების დამამცირებლად არ მიგვაჩნია, თუ ქართულად საბაასოდ კრინტის დაძვრაც კი ვერ მოვახერხეთ და თუ წერის დროს სიტყვები წესიერად ვერ ვაკანკლედეთ და ვერ ვაუღლილეთ, ვერ ვაწარმოვეთ და ვერ შევთხზეთ, წინადადება წესიერად ვერ გავმართეთ და დასასრულ თვითონ წინადადებანი წესიერად ვერ დავაწყეთ, ისე როგორც ქართულის ენის ბუნება მოითხოვს. პირ იქით, აზრის უცხო ენიდგან გადმოჯაგლაგება და ბარბაროსულად გაპრტყელება დღეს გვესახელება და კარგ მოქართულედაც ჩავითვლებით, თუ ჩვენს წერილებში ვიხმარეთ უშნო, უჯიშო ქართული ახლად შეხანხლილი სიტყვები, რომლითაც ჩვენი ნაცოდვილევი ჟურნალ-გაზეთობა მორწყული გვაქვს. სულ-კი იმიტომ მოხდა ასეთი არეულობა,—ჩვენს თავს რო ვკითხოთ, ვგონებ,—ქართული სამწერლო ენის განვითარებაში, რომ უფროს ერთმა ჩვენგანმა დედა-ენის მართლ-წერა-ლაპარაკის წესი არ ვიცით.

ამ სამწერლო არეულობას ბოლო მხოლოდ მაშინ მოეღება, როცა ჩვენ სალიტერატურო ასპარეზზე, გამოსვლამდე გავეცნობით გონების საწვრთელად და ენა-კალმის სავარჯიშოდ ჩვენის ერის ძველ მწიგნობრობას, თუ საზოგადოდ არა, იმ ნაწილს მაინც, რომელიც სკოლაში გვისწავლია ან რომლისკენაც გული მიგვიწევს. მხოლოდ ამის შემდეგ დავრწმუნდებით, რომ ქართულის მწერლობისათვის საჭიროა ქართულის სწავლის მიღება და რაკი ეს ამ ჟამად ჩვენ ხელთ არ არის, გაცნობა იმ სწავლისა, რაც ძველად უფლია. თუ ასე ადვილია მწერლობა, როგორც ჩვენ გვგონია, რად არ მივსდევთ რუსულ მწერლობას, მაშინ როცა ჩვენ ენით და ცოდნით უფრო რუსები ვართ, ვიდრე ქართველები? იმათ, რომ ცოდნას გარდა, რომელიც ჩვენ აწინდელ სკოლაში შეგვიძენია, კიდევ საჭიროა თვითონ რუსულის ენის ზედ მიწევნით შესწავლა და შეთვისება იმდენად, რომ გონება რუსულად გაიჩარხოს და აზრი რუსულ ყალიბზე ჩამოსხმული რუსულად გამოითქვას. ამის ცოდნა-კი, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და არც სკოლა არის ყოვლად შემძლე, რომ მოწაფეს მაინც და მაინც მწერლობა დააწყებინოს.

ქართული მწერლობა-კი ჩვენთვის დაბალი ღობე უფლია, რომ მშობლიურ სწავლას არაფრად ვაგდებთ და საზოგადოებას ვიბრიყვებთ, გამოვდივართ რა სამწერლო ასპარეზზე მოუმზადებელნი და ქართულის წიგნის უცოდინარნი. ამას, მეტი რომ არა ვსთქვა, თავხედობა ჰქვია და მაგონებს ერთი კაცის საქციელს, სოფელში რომ უჯიშოდ დაიარებოდა.

კლდია

(შემდეგი იქნება)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მევენახეობის კომიტეტს განუზრახავს მოიწვიოს სრულიად რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა კრება. კომიტეტი აცხადებს, დიდი ხანია სასურველად და სასარგებლოდ არის ცნობილი ასეთის კრების მოწვევა, მაგრამ დღემდის სურვილი ვერ იქმნა განხორციელებული. იმ კრებებს, რომელიც აქამდე მოხდა რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში, მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. საჭიროა შეიკრიბნენ იმ ადგილების წარმომადგენელნი, სადაც მევენახეობას მისდევენ, და მოილაპარაკონ სასოფლო მეურნეობის ამ დარგის საჭიროებათა შესახებაო. ამისათვის კომიტეტი სთხოვს ყველას თავისი აზრი გამოსთქვას შემდეგის საგნების შესახებ:

1) სასურველია თუ არა სრულიად რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა კრების მოწვევა და სად უნდა მოხდეს ასეთი კრება?

2) თუ სასურველია, საჭიროა დანიშნულ იქმნას შესაფერი წესები და დრო, როდის უნდა მოხდეს ეს კრება.

3) რა საგნები უნდა განიხილოს კრებამ და რა ღონისძიებანი უნდა შეიწყნაროს მეღვინეობისა და მევენახეობის წარსამატებლად?

4) რა საგნების შესახებ უნდა წარედგინოს მოხსენებანი და ცნობანი განზრახულ კრებას?

თავისის მხრივ კომიტეტი საჭიროდ სთვლის დაასახელოს შემდეგი საგნები, რომელთა განხილვაც მომავალ კრებაზედ სასურველად მიაჩნია:

1) ტიპები სასწავლებლებისა, სადაც მოსწავლეებს მეღვინეობა და მევენახეობა უნდა შეასწავლონ.

2) გამოსაცდელი ვენახები და სადგურები, სამაგალითო ვენახები, სანერგეები და სხვანი.

3) მეღვინეობის კრიზისი და ღვინის გაჭრობის საქმის საჭიროებანი.

4) ღვინის ფალსიფიკაცია და საკანონმდებლო საშუალებანი ამ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

5) რკინის გზებით ღვინის გადაზიდვა-გადმოზიდვის საქმე (ტარიფის დაკლება, ვაგონების მოწყობა ღვინის გადასაზიდად, იმ მატარებლების სიასრულის დაჩქარება, რომლებითაც ღვინო გადააქვთ და სხვა).

6) საზოგადო სარდაფების დაარსება.

7) ნორმალურ წესდების გამოცემა მეღვინეთა ამხანაგობებისათვის.

8) ვენახების დაზღვევა სეტყვისაგან.

9) სესხი.

10) ვენახის მავნე სენთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმის მოწყობა.

11) ამერიკულ ვაზის მოშენების საქმე.

12) ის საშუალებანი და ღონისძიებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ გლეხთა შორის მევენახეობის გაძლიერებასა და განვითარებას.

დაწესებულებათა და კერძო კაცთაგან პასუხების მიღების შემდეგ, კომიტეტი შეუდგება კრების მოწვევის საქმის მოწყობასა და მოხსენებათა შემუშავებას, შემდეგ შუამდგომლობას აღძრავს მთავრობის წინაშე კრების ნება-დართვის შესახებ. სასურველია, ამ კრებაში ჩვენებურმა მევენახეებმა და მეღვინეებმაც მიიღონ მონაწილეობა.

რუსეთი

ლ. ნ. ტოლსტოის ავადმყოფობამ მთელი რუსეთი შეაშფოთა და გაზეთები აალაპარაკა. ყოველის მხრიდგან გაეშურნენ გრაფის სანახავად პატივის-მცემელნი და გაზეთების თანამშრომელნი. დეპეშებსა და წერილებს გრაფის ამბის შესატყობად ხომ თვლა არა ჰქონდა. დეპეშები ყოველ დღე გრაფის სახლობას საზღვარგარეთიდგანაც მოსდიოდა თურმე. შესანიშნავი მწერალი უკვე გამოკეთდა და ეხლა, მკურნალების სიტყვით, შიში აღარაფრისა აქვს. გრაფის ავადმყოფობამ ადგილობრივ გლეხნიც ძალიან შეაწუხა თურმე. ყოველ დღე გლეხთაგან ერთი ვინმე მიდიოდა გრაფის სახლში ამბის გასაგებად და შემდეგ ყოველიფერს გლეხებს ატყობინებდა.

— გზათა სამინისტროს საჭიროდ უცვნია გაამრავლოს სახელმწიფო რკინის გზებზედ საწყობების რიცხვი. უმთავრესად ეს საწყობები პურისათვის უნდათ. ბევრ სადგურზედ გასაგზავნად მიტანილი პური გარედ აწყვია ტომრებით და ფუთებით.

— ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კარგა ხანია ლაპარაკი აღძრეს დონის ოლქსა ან ვორონეჟის გუბერნიაში უმაღლეს სასოფლო სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ. როგორც ეხლა სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია სასწავლებლის დაარსება. არ არის ჯერ მხოლოდ ამორჩეული ადგილი, სადაც ეს სასწავლებელი უნდა იქმნას დაარსებული.

უცხოეთი

ჩინეთი. ინგლისელი მისტერ სავაჯ ლანდორი თავისს წიგნში „ჩინეთი და მოკავშირენი“, რომელიც მან ლონდონში გამოსცა, ევროპიელთა ჯარების შესახებ, აი, რასა სწერს:

„რუსები, ინგლისელები, ამერიკელები, იაპონელები, ფრანგები,—ყველანი სძარცვავდნენ ხალხსა. მე ამას გაბედვით ვამბობ და კიდევ მრავალჯერ გავიმეორებ. მაგრამ მარტო ჯარის-კაცები არ იქცეოდნენ ასრე. როდესაც მანდარინებმა ურჩიეს თურმე თავისს უნებურს სტუმრებს სასახლეები დაეთვალიერებინათ, ყოველივე თავისს ადგილასა და რიგზედ არის თუ არაო, სტუმრებმა დაუკითხავად ტაცება თურმე გამართეს და ვისაც-კი რა მოსწონდა, ისაკუთრებდა. როდესაც ოქრო-მკედით ნაკერ და ძვირფას ნივთების ყუთებს წაადგნენ, ოფიცრები მგლებივით თურმე მიესივნენ და ვისაც-კი რა მოხვდა, ჯიბეები დაატენეს და იქვე მდგომს გენერალს ლინევიჩსა და მაყურებელს ჩინელებს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, არ დაირცხვინეს. ერთი მანდარინი ამ დროს ცოტა მოშორებით იდგა, რომელსაც ყელზედ გრძელი კრიალოსანი ჰქონდა შემოხვეული, ქარვისა და ნეფრიტის ძეწკვებით (ეს ნიშანია მანდარინის ხარისხისა). ერთი ოფიცერთაგანი უცბად მიუახლოვდა, წასწვდა, კრიალოსანი ჩამოგლიჯა, თვითონ ჩამოიგდო და არხეინად გასწიაო“.

ამერიკა. როგორც „Temps“ იუწყება, ამერიკაში მუშათა დიდი შეთ-

ქმედობა დაწყებულა ფოლადის ქარხნებში. მუშათა და მწარმოებელთა შორის უთანხმოება და უკმაყოფილება ერთს თვეზედ მეტია დაიწყო, მაგრამ დღემდის იმედი ჰქონდათ, რომ მშვიდობიანად როგორმე მორიგდებოდნენო. ახლა-კი მოლაპარაკება სრულიად შეწყვეტილ იქმნა და მუშათა სინდიკატის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ 140,000 მუშა ამხანაგობათა Steel Sheet-ისა, Steel Hoops-ის და Tin Plate-ისა მუშაობაზედ ხელს იღებენო. მუშაობა შესწყდა პენსილვანიისა, მერილანდისა, ოგაიოსი და ინდიანის ქარხნებში, მაგრამ წესიერება არსად არ დარღვეულა. სინდიკატის პრეზიდენტის სიტყვით, მუშები იმ დრომდის ხელს არ მოჰკიდებენ სამუშაოს, სანამ მათ მიერ წარდგენილი მოთხოვნილებანი არ იქმნებიან შესრულებულნი. გაფიცულს მუშებს გამარჯვებისა დიდი იმედი აქვთ, რადგანაც ლითონის ქარხნების ყველა მუშები დახმარებას თურმე ჰპირდებიან. როგორც ხმა დადის, შეთანხმება და მორიგება ძნელი თურმე იქნება, რადგანაც აღძრული უთანხმოება პრინციპიალურის ხასიათისაა. მუშები თხოულობენ, რომ მათი სინდიკატი ოფიციალურად ნება დართულად იქმნეს ცნობილი. მწარმოებლებმა თანხმობა განაცხადეს, რომ სინდიკატის წევრებს მუშებსა და არა წევრებს შორის არავითარი განსხვავება არ იყოს, მაგრამ სხვაზედ-კი ყველაფერზედ უარი სთქვესო.

საფრანგეთი. გაზ. „Temps“-ში წერილია დაბეჭდილი აბისინიის მფლობელის მენელიკისა საფრანგეთის პრეზიდენტის ლუბეს მიმართ:

„მძლეველი ლომისა, ტომისაგან იუდისა, რჩეული ღვთისა, მეფე მეფეთა ეთიოპიისა სალამი ყველა წერილის წამკითხველს. ჩემის ნებართვითა და დახმარებით გუგო ლერუმ ვალდაკამლის მოაღწია და გამოიკვლია მთელი ოლქი, სად მტრედის ფერი ნილოსის მდინარე დიდესსას უერთდება და სადაც ჯერ არც ერთს ევროპიელს არ მიუღწევია. ამ წერილით მსურს პატივი ვსცე ბ-ნს ლუბეს, პრეზიდენტს საფრანგეთის რესპუბლიკისას და აღნიშნულის მდინარების შორის მდებარე მთას „ლუბეს“ სახელი ვუწოდო.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ინგლისელების სამხედრო კითხვისა და წესისა ანუ, სწორედ რომ ვსთქვათ, უწესობის შესახებ ბევრი დაგვიწერია, მაგრამ ამისთანა საუცხოვო მაგალითი, გგონებ, სანთლით მძებნელისათვისაც-კი იშვიათი იქმნება, როგორსაც ამსტერდამიდგან პარიჟის გაზეთს სწერენ: „პრეტორიის მიდამოებში ბურებმა ბოლოს დროს დიდი მოქმედება და სიცოცხლე გამოიჩინეს; ივნისის 6 ბურებმა დელარეის უფროსობით ათასი კაცისაგან შემდგარი ინგლისელთა რაზმი მოიმწყვდიეს. დელარეიმ პარლამენტერი გაუგზავნა და ურჩია დაჰმორჩილებოდნენ, მაგრამ გაგზავნილი კაცი უკან აღარ დაბრუნდა, მაშინ დელარეიმ მეორე კაცი გაუგზავნა, მაგრამ აღარც ეს მეორე კაცი მობრუნდა უკან. მესამე დღეს დელარეის მოთმინება აღარ ეყო და მტერს მაგრად მიესია, დიდი ზარალი მიაყენა და, ვინც-კი ცოცხალი გადარჩა, თითქმის ყველანი ტყვედ წაიყვანა. სხვათა შორის, ტყვედ მოჰყვა თვითონ რაზმის უფროსიც. როდესაც დელარეი ჩაეკითხა, ჩვენს პარლამენტერებს რა უყავით, რაზმის უფროსმა მკვახედ თურმე უპასუხა: „დავხრიტე, რადგანაც აჯანყებულებთან მოლაპარაკება არ შეიძლებოდა გვქონოდაო!“ დელარეიმ მაგიერი იმავე საწყაულით თურმე არ მიუზღო (რაიცა სამაგალითო დიდ-სულოვნობას წარმოადგენს) და ეს ამბავი კიტჩენერს აუწყა. როგორც იუწყებიან, კიტჩენერს დამნაშავე რაზმის უფროსი სამხედრო სასამართლოსათვის გადაუცია. საყურადღებოა ვიცოდეთ, ამგვარს შემთხვევაში ინგლისელებიც ასრე მოიქცეოდნენ, როგორც დელარეი მოიქცა, თუ არა?.. მაგრამ კითხვა რადა საჭიროა, როცა წინანდელი მაგალითები მრავლადაა გვაქვს თვალ-წინა.

ტფილისელ მეპურეთა განზრახვა

8 ივლისს ტფილისის სახელოსნო გამგეობაში ტფილისის ქართველ მეპურეთა (მეთონეთა) კრება მოხდა. კრებას ლაპარაკი ჰქონდა თორნის პურის ცხობისა და ვაჭრობის საქმის მოწყობა-გაუმჯობესობის შესახებ. მეპურეებს განუზრახავთ ტფილისში საკუთარი ფქვილის მაღაზია გაიჩინონ, განდევნონ შუამავალი ფქვილის ვაჭრობაში და თვითონ დაიჭირონ საქმე რუსეთში მცხოვრებ ფქვილის გამყიდველებთან. როგორც მეპურეთა მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისში სულ 165 მეპურის დუქანი ყოფილა. თითო მეპურე დღეში ორთა შუა რიცხვით 5—10 მ. ფქვილსა ჰხარჯავს. სულ ყველანი-კი ერთად 1200 მანეთის ფქვილს. ამ ფქვილს ქართველი მეპურეები მდიდარ ვაჭრებისაგან ყიდულობენ ძვირად და, რასაკვირველია, გამომცხვარ პურსაც ძვირად ჰყიდიან. ხშირად ფქვილი მწარე გამოდის და პური უვარგისი ცხვება. დამნაშავე ამ შემთხვევაში პურის მცხობელი კი არა, ფქვილის ვაჭარია.

საერთო მაღაზიის დასაარსებლად მეპურეებს თითო კაცზედ 100 მ. გაუწერიათ. ვისაც შეძლება არა აქვს, იმას შეუძლიან ნაკლების ფულითაც მიიღოს მონაწილეობა. გაერთიანება და გაამხანაგება მეპურეებს ბევრ გაჭირვებისაგან დაიხსნის; უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოდაცა ვთქვით, საქმეს პირდაპირ ფქვილის პატრონებთან დაიჭერენ, ამიტომ უფრო იაფად იყიდიან; ფქვილიც უკეთესი იქმნება და გამომცხვარ პურსაც უფრო პირიანად გაჰყიდიან. ამასთან მეპურეებს შეძლება მიეცემათ თავიანთი პურის საცხობები უკეთ მოაწყონ, სუფთად შეინახონ და პურიც სუფთად გამოაცხონ.

როგორც ყველამ უწყის, ტფილისელი მეფურნეები უცხოეთიდგან არიან გადმოხვეწილნი. თან მათ ერთი გროშიც არ მოუტანიათ, მაგრამ ტფილისში მუყაითობით ფულიც შეუძენიათ და ბევრს მათგანს სახლები და მამულებიც უყიდნია. ამ მეფურნეებმა ჩვენებურ მეპურეებზედ ბევრად უკეთ მოაწყეს საქმე. პურის ცხობა ტფილისში სასარგებლო საქმეა. ტფილისელნი თორნის პურს ფურნის პურზედ ნაკლებ არ ეტანებიან. წელიწადში მეპურეები ზედმიწევნით 400,000 მანეთის თორნის პურს ასაღებენ. აშკარაა ასეთ დიდ საქმეს, კარგად რომ მოეწყოს, სარგებლობაც დიდი ექმნება.

ხ—ია

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამა წლის 9 თებერვალს რომში საყოველთაო აღწერა მოხდა. ამას წინად რომში არსებულ სამეფო სასტატისტიკო ბიუროს გამოუქვეყნებია ზოგიერთი ცნობები, ამ აღწერის დროს შეკრებილი. მთელს იტალიაში დღეს სულ 32,460,000 სული მცხოვრები ყოფილა. 1881 წელს აქეთ იტალიას მოჰმატებია 4,000,000 სული. 1750 წელს იტალიაში იმის ნახევარი სცხოვრობდა, რაც ეხლაა. იმ დროს დღევანდელ იტალიის მიწა-ადგილებზედ სცხოვრობდა სულ $16\frac{1}{2}$ მილიონი სული; 1800 წელს მცხოვრებთა რიცხვი 18 მილიონამდე ავიდა. ამას გარდა იტალიას მცხოვრებთა გადასახლებამაც ბევრი დააკლო. ბოლოს დროს 2,155,000 სული გადასახლდა იტალიიდგან. იტალია მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა; ერთ ოთხ-კუთხ მილზედ იქ 113 სული სცხოვრობს მაშინ, როდესაც რუსეთში მხოლოდ 19-ი. სოფლებიდგან ქალაქებში გადასახლება იტალიასაც ემჩნევა, თუმცა იმდენად არა, რამდენადაც მრეწველ სახელმწიფოებს. ნეაპოლში, სადაც დღეს 564,000 სული სცხოვრობს 1750 წელს 330,000 სული იყო. უფრო გასაკვირველია ვენეცია. ამ ქალაქს სულ 3,000 სული მცხოვრები მიემატა: 1750 წ. იქ იყო 149,000 სული, ეხლა-კი 152,000 სულია. სამაგიეროდ სხვა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვმა ძალიან იმატა. აი ციფრები:

	1750 წელს	ეხლა
რომი .	155000	463000
მილანი.	124000	491000
ტურინი	70000	336000
პალერმო	167000	310000
ფლორენ.	78000	206000
გენუა .	75000	234000

⁂

შემდეგ ამბავს გადმოგვცემენ ინგლისური გაზეთები. ბირმინგამის ერთ სკოლაში მასწავლებელი ქალი თავისს ახალგაზრდა მოსწავლეებს ბუნების სიდიადისა და სიმშვენიერის შესახებ ესაუბრებოდა. ბოლოს მასწავლებელს მიუმართავს და უკითხნია, ვის უნდა უმადლოდეთ ამ სიდიადისა და სიმშვენიერისათვის, ამ თვალ-წარმტაც გორებისა, ზღვებისა და ვარსკვლავებისათვისაო. ცოტა ხნობით კლასში სიჩუმე ჩამოვარდნილა. შემდეგ ერთ ბავშვს ხელი აუშვერია, წამომდგარა და უთქვამს: „ჩემის აზრით, ყველა ამისათვის უნდა უმადლოდეთ მისტერ ჯოზეფ ჩემბერლენსაო!“—რას ამბობ? წამოუძახნია გაკვირვებულს მასწავლებელს, განა არ იცი, რომ კაცი ყველა ამას ვერ მოახერხებდა, რომ მიწა, ვარსკვლავები და სხვა ყველაფერი ღვთის შექმნილია“? მოსწავლე სრულიადაც არ შეშფოთებულა: „არ ვიცოდი, დაუწყია ხელახლა ბავშვს, თუ თქვენ ეგეთი მომხრე იყავით ბურებისაო“. ეს ამბავი ყველა ინგლისურს გაზეთებში დაიბეჭდა. ისე აქებენ და ადიდებენ „პატრიოტნი“ ჩემბერლენსა, რომ ბავშვებს მოღალეტედ მიაჩნდათ ისიცკი, ვინც ჩემბერლენს დედამიწის შემქნელად არა სცნობს.

⁂

როგორც ამას წინად გამოქვეყნებულ ოფიციალურ ანგარიშიდგანა სჩანს, საფრანგეთში 1900 წელს მუშებს მუშაობა 902-ჯერ აუკვეთნიათ. სულ მონაწილეობა მიუღია 222,714 მუშას. 1899 წელს უფრო ცოტა-ჯერ აღკვეთეს მუშებმა მუშაობა, სახელდობრ—740-ჯერ, 1898 წელს—368-ჯერ, 1897 წელს—356-ჯერ.

გერმანიაში, ოფიციალურისავე ცნობებით, 1900 წელს მუშებს 1,462-ჯერ აღუკვეთნიათ მუშაობა. მონაწილეობა მიუღია სულ 298,819 მუშას. ამა მიმდინარე წლის პირველ სამ თვეს 243-ჯერ აღკვეთეს მუშაობა, ამას გარდა 29 შეთქმულობა წინა წელს იყო დაწყობილი და მხოლოდ მიმდინარე წელს დამთავრდა. მუშებს წელს 44-ჯერ გაუმარჯვნიათ და 112-ჯერ დამარცხებულან.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 ივლისი.

ქერჩი. გზათა მინისტრი ბერდიანსკიდგან ჩამოვიდა და აქედგან ფეოდოსიასა, იალტასა და ბახჩისარაიში წავიდა.

სარატოვი. ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს უფროსი თავ. შახოვსკოი ჩამოვიდა აქა და ადგილობრივის გაზეთების წარმომადგენელნი და აქაურ დროგამოშვებით გამოცემათა ცენზორი მიიღო.

ვარშავა. ლოდის ქარხანაში გაჩენილმა ცეცხლმა გუშინ 200,000 მან. ზარალი მისცა პატრონსა. ქონება ცოტაში იყო დაზღვეული.

ჩისტოპოლი. კამასა, ვიატკასა და ბელაია მდინარეზედ ქვავი საკმაოდ მოვიდა; გაზაფხულის ნათესებს გამობრუნება ეტყობათ. პურის ფასი კლებულობს.

ლონდონი. ქლექის წინააღმდეგ საბრძოლად მოწვეულს კრებაზედ პროფესორმა (კოხმა?) სიტყვა წარმოსთქვა, რომლის მეტი ნაწილიც შეეხებოდა იმას, შესაძლებელია თუ არა ქლექიან საქონლიდგან რძითა ან ხორცით ავადმყოფობა ხალხს გადაედოსო. ამ საგნის გამოსარკვევად ორატორსა და მასთან ერთად ბერლინელს პროფესორს შუტცს, რუსეთის სამიწათ-მოქმედო სამინისტროს დახმარებით, ორის წლის განმავლობაში მრავალჯერ უცდიათ და დარწმუნებულან, რომ შეუძლებელია ადამიანის ქლექი საქონელს გადაედოს, თუმცა მცდელებს საქონლისათვის ადამიანის ქლექის ბაცილები სხვა-და-სხვა რიგად მრავალჯერ შეუშხაპუნებიათ. ამ მაგალითიდგანა და ცდიდგან ნათლადა მტკიცდება, რომ ადამიანისა და საქონლის ქლექს შორის სრული განსხვავებაა. ამისათვის საქონლიდგან ადამიანზედ ქლექის გადატანას კოხი შეუძლებელადა სთვლის და, მაშასადამე, აქედგან სულ მეტად იმასაც, რომ ამის წინააღმდეგ რაიმე საშუალება იქმნეს მიღებული.

ლონდონი. როგორც ხმა დადის, ლონდონში ამ ჟამად სამხრეთ აფრიკაში მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკება თურმე აქვთ.

კრიუგერსდორპიდგან იუწყებიან: „პოლკოვნიკი ოლლენბი იუწყება, რომ რამდენისამე დღის წინად ათასამდე ბურს კრომდრააიზედ გაუვლია კრიუგერსდორპის მახლობლად. ბურების ნაამბობიდგანაც იგივე მტკიცდება, რომ ბურების უფროსები ხელ-ახლად სამხრეთისაკენ იკრიბებიან.

ლონდონი. როგორც კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან, კაპშტადტიდგან მომავალი სხვა-და-სხვა ნივთებითა და სურსათით დატვირთული საქონლის მატარებელი 7 ივლისს დილით, ბიუფორტვესტიდგან 8 მილის მანძილზედ, ჩრდილოეთით, შეპერსის რაზმს დაუჭერია და გაუძარცვნია. ინგლისელების მხრივ მოუკლავთ სამი და დაუჭრიათ 18 კაცი. ფრენჩი იუწყება, რომ 8 ივლისს, გათენებისას, პოლკოვნიკის კრაბბეს 300 კაცს კრადოკის მთებში თავს კრუიცინგერი დასხმია. ინგლისელები ცხენებმა გაიტაცეს და კრაბბე იძულებული შეიქმნა მორტიმერისაკენ დაეხიოთ. ბრძოლა მთელს დღეს არ შეწყდარა. ინგლისელებს დიდი ზარალი არ მოსვლიათო.

როგორც „რეიტერის“ სააგენტოს შეუტყვია, მეფე-დედოფლის საზღვარ-გარეთ წასვლის შესახებ ჯერ არავითარი განკარგულებანი არ მოუხდენიათ; ჯერ-ჯერობით არც წასასვლელი დროა დანიშნული.

12 ივლისი.

პეტერბურგი. 11 ივლისს ცეცხლი გაჩნდა გუტუევის კუნძულზედ და დაიწვა სატამოჟნო უწყების საწყობები. ზარალი მეტად დიდია.

გამოქვეყნებულ იქმნა ბრძანება სამხედრო უწყების მიმართ: „შემდგარ იქმნას გვარდიისა და არმიის ცხენოსანთა სათადარიგო ჯარისაგან სათადარიგო ესკადრონები და გვარდიის ცხენოსანთა რაზმებისაგან ერთი ათ-ესკადრონიანი სათადარიგო რაზმი, შემდეგ შვიდი ექვს-ესკადრონიანი და ერთი ათ-ესკადრონიანი სათადარიგო რაზმი ცხენოსანთა სათადარიგო ჯარისაგან. ახლად შემდგარ რაზმებს ცხენოსანთა სათადარიგო რაზმები უნდა ეწოდოს; ყველა რაზმს იმ ბრიგადის ნომერი უნდა მიეცეს, რომლისაგანაც შემდგარია. დასასრულ შემდგარ იქმნას სამ-ესკადრონიანი სათადარიგო დივიზიონი კავკასიის ცხენოსანთა სათადარიგო ჯარისაგან და ეწოდოს მას კავკასიის სათადარიგო ცხენოსანთა დივიზიონი“.

ვენა. ჰერცოგის ფრანც ფერდინანდის მეუღლეს, კნეინა გოგენბერგს ქალი ეყოლა.

მიდელბურგი. (კაპის ახალშენი) ლატეგანის ბურთა რაზმის ბანაკს 10 ივლისს თავს დაეცა პოლკოვნიკი ლიუკინი; ინგლისელებმა 10 ბური წაიყვანეს ტყვედ და 105 ცხენი და 70 თოფი ჩაიგდეს ხელთ.

შემოწირულება

რედაქციამ მღვ. ალექსანდრე ტატუნაშვილისაგან მიიღო ორი მანეთი ლადო აღნიაშვილის სასარგებლოდ.

განცხადებანი

როიალები

პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—16)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Iюня 1901 г. სტამბა ქქ. ივ. ხუციძისა დვორც-მედვოქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე